



ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის

ძირითადი რეკომენდაციები:

- განსაზღვრეთ პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ცვლაში მისაღები პროფესიული სტუდენტების/მსმენელების რაოდენობა ისე, რომ როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული სწავლებისთვის განკუთვნილ სივრცეში უზრუნველყოთ უსაფრთხო დისტანციის დაცვა;
- ერთიან შესასვლელთან უზრუნველყავით სამუშაო სივრცეში მყოფი დასაქმებულებისთვის ან/და შესაბამის/სხვა პირებისთვის თერმოსკრინინგი, თერმოსკრინინგის კამერის ან დისტანციური მზომი ხელსაწყო გამოყენებით, რათა გააკონტროლოთ როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელთა, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, ასევე ნებისმიერი სტუმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით;
- პროფესიული სტუდენტების/მსმენელების/პერსონალის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით, ექიმის/ექთნის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყავით სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის ფუნქციონირება;
- დაწესებულებაში ცხელების/რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების შემთხვევისთვის გამოყავით სპეციალური საიზოლაციო ოთახი, სადაც მოხდება საჭიროების შემთხვევაში პირის დროებითი დაყოვნება, მათ შორის სასწრაფო დახმარების მოსვლამდე;
- საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
 - უზრუნველყოფილი იყოს ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაციით;
 - აღჭურვილი იყოს დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
 - ხელმისაწვდომი იყოს ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი, ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი;
 - ყოველი გამოყენების შემდეგ საიზოლაციო ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით;
- დაწესებულებისა და სასადილოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, გამოყენების შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- თვალსაჩინო ადგილას გამოაკარით ინფორმაცია COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყავით დაწესებულებაში პირბადეების რეზერვის არსებობა;
- უზრუნველყავით ნებისმიერი პირის (ადმინისტრაციის თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, სტუმრების) დაშვება დაწესებულებაში მხოლოდ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ნიღბები, საჭიროების შემთხვევაში სახის ფარები/დამცავი სათვალეები, ხალათები);
- უზრუნველყავით ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სწორი მოხმარების პრაქტიკა;

- სასწავლო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკი ამოიღეთ და განკარგეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- უზრუნველყავით დაწესებულება ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი ხელსახოცები). იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერდება ხელების დაბანა და გამრობა, გამოიყენეთ ხელების დეზინფექტანტი, არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველობის. უზრუნველყავით ხელის ჰიგიენის დაცვის სწორი პრაქტიკა;
- სამუშაო ადგილებზე განათავსეთ ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყავით მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა (შესაბამისი წესების შემუშავება და პერსონალის/პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინფორმირება);
- უზრუნველყავით არსებული დახურული სივრცეების/ სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია. თუ ამის შესაძლებლობა არ არის გამოიყენეთ ხელოვნური ვენტილაციის მომატებული უწყვეტი რეჟიმი, გარე სივრციდან ჰაერის შემოტანით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით; დააწესეთ საინჟინრო კონტროლი მის გამართულ მუშაობაზე;
- უზრუნველყავით საერთო სამუშაო ფართის ყოველდღიური სანიტარული დამუშავება;
- უზრუნველყავით სახელოვნობის, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების, კარების სახელოვნობის და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარული დამუშავება პერიოდულად (2 საათიანი ინტერვალებით);
- უზრუნველყავით სანიტარული წერტილების პერიოდული სანიტარული დამუშავება;
- მოწყვლადი ჯანმრთელობის მქონე შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან მუშაობისას აქტივობები ადაპტირდეს იმგვარად, რომ მინიმუმადე იქნას დაყვანილი მოწყვლადი ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე შშმ/ სსსმ პირის ვიზიტი დაწესებულებაში;
- დაწესებულება ვალდებულია, კუთვნილ ტერიტორიაზე გასაწევი ეკონომიკური საქმიანობის (კვებით მომსახურება, არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა) განმახორციელებელ პირს მოსთხოვოს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების მოთხოვნათა უზრუნველყოფა;
- იმ შემთხვევაში თუ დაწესებულებას აქვს საცხოვრისი, მისი ფუნქციონირება განახორციელებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №16 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS- CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები სასტუმროებისთვის“ შესაბამისად;
- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყავით საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარული დამუშავება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის № 01-123/ო ბრძანების „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ სათანადო დანართის შესაბამისად.

დაწესებულების სივრცეში გადაადგილება:

- თერმოსკრინინგის ჩასატარებლად გამოიყენეთ შენობის გარე პერიმეტრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში. გარე ტერიტორიად შეიძლება ჩაითვალოს - გარე შესასვლელი, ეზო, შენობის მიმდებარე გარე სივრცეში განთავსებული სხვა ტერიტორია)
- პირი, რომელიც ატარებს თერმოსკრინინგს, ვალდებულია ეკეთოს პირბადე და იცავდეს არანაკლებ 1 მეტრიან დისტანციას;
- თერმოსკრინინგისას ცხელების - 37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში (ყოველი გამოყენების შემდეგ ვერცხლისწყლის თერმომეტრი სავალდებულოა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით);
- ტემპერატურის გადამოწმების შემდეგ 37°C ან 37°C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:
 - პირი არ დაიშვება დაწესებულებაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
 - პროფესიული სტუდენტის/მსმენელის/მასწავლებლის/თანამშრომლის დროებითი დაყოვნება (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) უნდა მოხდეს საიზოლაციო ოთახში;
 - საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდით 112-ს, შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
 - დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში;
- არასრულწლოვანი მსმენელის/პროფესიული სტუდენტის ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდით მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია მსმენელის/პროფესიული სტუდენტის დაწესებულებიდან დროულად გაყვანაზე. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში დაწესებულებაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუკავშირდით 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად ან/და გადამისამართების მიზნით;

სავალდებულო დისტანცია საგანმანათლებლო პროცესის დროს დახურულ და ღია სივრცეებში:

- სასწავლო აუდიტორიებში მაგიდების/მერხების განლაგება, მიზანშეწონილია, მოხდეს იმგვარად, რომ სტუდენტები არ იხდნენ ერთმანეთის პირისპირ და მათ (სტუდენტებს) შორის უზრუნველყოფილი იყოს იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის №322 დადგენილებით განსაზღვრული დისტანციის დაცვა;
- მაგიდების პირისპირ განლაგების აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყავით მაგიდებს შორის არანაკლებ 2 მ-იანი დისტანცია;
- ლექციის/სემინარის დროს პედაგოგს (როგორც სპიკერს) უნდა ეკეთოს პირბადე იმ შემთხვევაში, თუ მაგიდები განლაგებულია იმგვარად, რომ მასსა და სტუდენტებს შორის შეუძლებელია 2 მეტრიანი დისტანციის დაცვა.
- ამ წესის საილუსტრაციოდ, სასწავლო აუდიტორიებში აუცილებელია შესაბამისი სტიკერებით მონიშნოს უსაფრთხო დისტანციის განსაზღვრული ადგილები.

რეკომენდაციები კვების პროცესისადმი:

- დაწესებულების სასადილოს ფუნქციონირება შესაძლებელია, თუ ის აკმაყოფილებს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №17 დანართის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან

(COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები საზოგადოებრივი კვების ობიექტებისთვის“ მოთხოვნებს;

- არ დაუშვან სასადილოს ფუნქციონირება, თუ შეუძლებელია მომხმარებელთა რიგში დგომის დროს უსაფრთხო დისტანციის დაცვა;
- უზრუნველყავით სასადილოში არსებული ონკანების გამართული მუშაობის რეჟიმი;
- სასადილოს შესასვლელთან ახლოს, შიდა სივრცეში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფუნქციონირებისთვის გამართული ხელსაბანები.

სასწავლო დაწესებულების ბიბლიოთეკა

- დაწესებულების ბიბლიოთეკის ფუნქციონირება უნდა განხორციელდეს „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების №36 დანართის შესაბამისად;

ვალდებულებები პროფესიული ტესტირების მიზნით ორგანიზებული საგამოცდო ცენტრებისთვის, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და იურიდიული პირებისათვის, რომლებიც პროფესიული ტესტირების ფარგლებში გეგმავენ კონკურსის/შერჩევის ორგანიზებას ან/და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შერჩევის ორგანიზებას

- მაგიდების განლაგებისას უზრუნველყავით აპლიკანტებს შორის დადგენილი დისტანციის დაცვა;
- არ დაუშვით საგამოცდო ცენტრში არცერთი პირი პირბადის გარეშე;
- აპლიკანტები მაგიდებთან არ განათავსოთ ერთმანეთის პირისპირ;
- საგამოცდო ცენტრში აპლიკანტების მისაღებად, თუკი ეს შესაძლებელია, გამოიყენეთ ცვლებში მუშაობის რეჟიმი;
- ყოველი ცვლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემდგომ გამოიყენეთ სანიტარული შესვენება. სხვა შემთხვევაში აპლიკანტები უზრუნველყავით ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენების შესაძლებლობით;
- უზრუნველყავით საგამოცდო დარბაზის შესასვლელში ხელის დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ან სხვა ანალოგიური ეფექტის მქონე ხელის დასამუშავებელი ხსნარის განთავსება;
- უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა გამოყენებული ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ვალდებულებები:

- დაიცავით ჰიგიენის წესები სასწავლო დაწესებულების სივრცეში;
- გამოიყენეთ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;

- ჩაიტარეთ ხელების ჰიგიენა (სულ მცირე 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებების გამოყენება იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა. ხელის ხილული დაბინძურების, ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას სავალდებულოა წყლითა და საპნით დაბანა);
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირსა და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

 15 05

 116 001

StopCoV.ge